# საქართველოში გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების თანამედროვე სისტემების დანერგვის დადებითი მხარეები

## მაღალი დონის მრგვალი მაგიდა

2015 წლის 11 დეკემბერი

სასტუმრო ამბასადორი, კახეთი, კაჭრეთი 1510, საქართველო

მრგვალი მაგიდის მიზანია გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა (გზშ) და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) ეფექტურ გამოყენებასთან დაკავშირებული სარგებლისა და დადებითი მხარეების წარმოჩენა, რათა უზრუნველყოფილი იქნას საქართველოში გზშ-სა და სგშ-ს სისტემების შექმნა გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენციის (Espoo კონვენცია), სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ ევროკავშირის დირექტივების (2011/92/EU დირექტივა 2014/52/EU ცვლილებების ჩათვლით და 2001/42/EC დირექტივა) მოთხოვნების შესაბამისად, როგორც აღნიშნული განსაზღვრულია საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ 2014-2017 წლების შეთანხმებაში.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებისათვის წარმოდგენილი იქნება გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა (გზშ) და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) წარმატებით გამოყენების ძირითადი პრინციპები, რაც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს გზშ-სა და სგშ-ს როლს სექტორული დაგეგმვის, პროექტის განვითარებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გაუმჯობესებაში. თეორიული ინფორმაციის მხარდასაჭერად შეხვედრაზე ასევე იქნება წარმოდგენილი სხვადასხვა ქვეყნებში და სექტორებში გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების გამოყენების წარმატებული მაგალითები. გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დადებითი

EaP GREEN პროგრამა ფინანსდება ევროკავშირისა და სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ და ერთობლივად ოთხი პატრნიორი ორგანიზაციის მიერ ხორციელდება: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE), გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP) და გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO).

მხარეებისა და სარგებლის პრეზენტაცია შექმნის აღნიშნულ სისტემებში სხვადასხვა დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების როლებისა და ფუნქციების შესახებ დისკუსიის წამოწყების წინაპირობას. შეხვედრების მონაწილეები გაეცნობიან „საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ პროექტის მოთხოვნებს და მათ მიეცემათ საშუალება, წარმოადგინონ ქვეყანაში გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ეროვნული სისტემების შექმნისათვის პრიორიტეტული ღონისძიებები. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პრაქტიკული გამოყენებისა და აღნიშნულთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის შემუშავების შესახებ საკუთარ გამოცდილებას წარმოადგენენ ექსპერტები ესტონეთიდან, ნიდერლანდების სამეფოდან და გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკური კომისიისა (UNECE) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) წარმომადგენლები.

ღონისძიება უმასპინძლებს საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებს, ქვეყნის ეკონომიკისა და მრეწველობის განვითარებაზე პასუხისმგებელი დარგობრივი უწყებების მაღალი თანამდებობის პირებს, ენერგეტიკის, სატრანსპორტო, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, სამთო მრეწველობის, სატყეო და ჯანმრთელობის დაცვის დარგების ჩათვლით, ასევე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუციებისა და გარემოსდაცვითი უწყებების წარმომადგენლებს.

მაღალი დონის მრგვალი მაგიდა ორგანიზებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკურ კომისიასთან (UNECE) ერთად ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში „ეკონომიკის გამწვანება ევროპის სამეზობლო ქვეყნებში (EaP GREEN)“ და ნიდერლანდების გარემოსდაცვითი შეფასების კომისიასთან ერთად.

EaP GREEN პროგრამა ფინანსდება ევროკავშირისა და სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ და ერთობლივად ოთხი პარტნიორი ორგანიზაციის მიერ ხორციელდება: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE), გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP) და გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO).

# დღის წესრიგი

**მოდერატორი:** *ქ-ნი მაია ბითაძე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე*

**09:00-10:30** **მისალმება, საუზმე და მონაწილეთა რეგისტრაცია**

**10:30- 11:00** **მისასალმებელი სიტყვა**

*ბ-ნი გიგლა აგულაშვილი, მინისტრი*
*საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო*

*ქ-ნი მაია ბითაძე, მინისტრის მოადგილე*
*საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო*

*ქ-ნი ელენა სანტერი, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენციის (Espoo კონვენცია) და მისი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმის (SEA ოქმი) სამდივნო*

*ქ-ნი მიურიელ ლამბერ დე რუვრუა,პროგრამის მენეჯერი*
*საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა*

**11:00 – 11:50** **მონაწილეთა წარდგენა**

**11:00 – 11:10** **I სესია: სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ) და გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ), როგორც ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად მთავრობების ხელშეწყობის პროგნოზირებადი და სისტემური მექანიზმი**

**პრეზენტაციები და ვიდეო (25 წუთი):**
სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემების შექმნის ისტორია და

EaP GREEN პროგრამა ფინანსდება ევროკავშირისა და სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ და ერთობლივად ოთხი პატრნიორი ორგანიზაციის მიერ ხორციელდება: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE), გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP) და გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO).

დასაბუთება
საერთაშორისო ვალდებულებები: Espoo კონვენცია და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმი
*ქ-ნი ელენა სანტერი, Espoo კონვენციისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმის UNECE სამდივნო*
*ქ-ნი ოლენა ბორისოვა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)*

**კითხვა-პასუხი (15 წუთი)**

| | |
|---|---|
| **11.50 – 12:30** | **II სესია: სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისა (სგშ) და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პრაქტიკული გამოყენება სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე**<br>**ევროკავშირი: სარგებელი და ხარჯები**<br><br>**პრეზენტაცია (15 წუთი)** მაკედონიაში, ნიდერლანდებსა და საქართველოში მიწათსარგებლობის გეგმების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება<br>*ბ-ნი არენდ კოლჰოფი, ნიდერლანდების გარემოსდაცვითი შეფასების კომისია*<br><br>**პრეზენტაცია (15 წუთი)** ესტონეთის ენერგოსექტორის განვითარების ეროვნული გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება<br>*ქ-ნი ლიუბოვ გორნაია, UNECE ექსპერტი, ესტონეთი*<br><br>*კითხვა-პასუხი (10 წუთი)* |
| **12:30 – 13:00** | **შესვენება (ყავა)** |
| **13:00 – 13:40** | **II სესია: სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისა (სგშ) და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პრაქტიკული გამოყენება სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე**<br>**ევროკავშირი: სარგებელი და ხარჯები (გაგრძელება)**<br><br>პრეზენტაცია (20 წუთი) სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების გამოყენება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ, როგორც |

განახლებადი ენერგიის სექტორში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის საშუალება (20 წუთი)
*ქ-ნი ოლენა ბორისოვა*
*ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)*

**დისკუსია (20 წუთი):**
*რა სარგებელი და ხარჯები უკავშირდება საქართველოში სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების გამოყენებას?*

**13:40 – 14:30** **III სესია: დარგობრივი უწყებების როლი გარემოსდაცვით შეფასებებში**

**პრეზენტაცია (5 წუთი)** შესავალი
*ქ-ნი ელენა სანტერი, Espoo კონვენციისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმის UNECE სამდივნო*

**პრეზენტაცია (10 წუთი)** სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, როგორც დარგობრივი კონფლიქტების პრევენციის საშუალება
*ქ-ნი ოლენა ბორისოვა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)*

**პრეზენტაცია (10 წუთი):** სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, როგორც მთავრობების ხელთ არსებული მექანიზმი საერთო შედეგების/ზემოქმედების შეფასებისათვის (მაგალითი წყლის სექტორიდან)
*ბ-ნი არენდ კოლჰოფი, ნიდერლანდების გარემოსდაცვითი შეფასების კომისია*

**დისკუსია (25 წუთი)**

**14:30 – 15:30** **ლანჩი**

**15:30 – 17:00** **IV სესია: გარემოსდაცვითი შეფასების სისტემები საქართველოში: საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური რეფორმების გამოწვევები და აუცილებლობის დასაბუთება**

**პრეზენტაცია (30 წუთი)** საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების

*კოდექსის პროექტის ძირითადი მოთხოვნები*
*ქ-ნი მაია ბითაძე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე*

***პრეზენტაცია (20 წუთი)*** *გარემოსდაცვითი შეფასების ინსტიტუციონალური რეფორმა*
*ბ-ნი კობა ბახტურიძე, უფროსის მოადგილე*
*გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი*

*დისკუსია (30 წუთი)*

**17:00 – 17:30** **V სესია: საქართველოში Espoo კონვენციის, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმისა და ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისა (სგშ) და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) სისტემების შექმნის სამომავლო გზები**

**დისკუსია (15 წუთი):** ძირითადი გამოწვევები და მათი დაძლევის გზები

**პრეზენტაცია (5 წუთი)**: გარემოსდაცვითი შეფასების ეროვნული სისტემის შემუშავება ესტონეთში სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად: პროცესი, გამოწვევები და მიღებული გამოცდილება
*ქ-ნი ლიუბოვ გორნაია, UNECE ექსპერტი, ესტონეთი*

**შემაჯამებელი დისკუსია (10 წუთი)**

**17:30** **შემაჯამებელი დასკვნები და შეხვედრის დასრულება**

EaP GREEN პროგრამა ფინანსდება ევროკავშირისა და სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ და ერთობლივად ოთხი პატრნიორი ორგანიზაციის მიერ ხორციელდება: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE), გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP) და გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO).